დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“
რექტორის 2026 წლის 24 მარტის № ო/05 ბრძანებით

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესი“ (შემდეგ ტექსტში „წესი“) არეგულირებს გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის (შემდეგ ტექსტში „უნივერსიტეტი“) სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესს.
2. წესი გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით სტიპენდიების დაწესებას ნახევარი სასწავლო წლის (ერთი სემესტრი - 4 თვე) განმავლობაში.

მუხლი 2. სტიპენდიანტთა შერჩევა

1. სტიპენდიანტის შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
   - ადმინისტრაცის ხელმძღვანელი;
   - პრორექტორი - სასწავლო-სამეცნიერო დარგში;
   - ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
   - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.
2. კომისია, ყოველი სემესტრის დასაწყისში, მიმდინარე სემესტრში არსებული სასტიპენდიო ბიუჯეტის ფარგლებში სარეიტინგო სიიდან - ზემოდან ქვემოთ არჩევს 91-დან-100 ქულამდე აკადემიური მოსწრების ყველაზე მაღალქულიანი სტუდენტების შესაბამის რაოდენობას.
3. სტუდენტებს კომისიის გადაწყვეტილებით სტიპენდია 100,00 ლარის (ხელზე ასაღები) ოდენობით ენიშნებათ, რომელთაც უკანასკნელი სემესტრის შედეგების გათვალისწინებით აქვთ 91-დან - 100 ქულამდე აკადემიური მოსწრება და აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, თუ შერჩეული სტიპენდიანტი იქნება დედა, მას დაენიშნება სტიპენდია 150,00 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიების დანიშვნისას გათვალისწინებული იქნება მონაწილეობა უნივერსტეტის ღონისძიებებში და უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული შემოქმედებითი/სამეცნიერო აქტივობები.
5. სტიპენდია არ ენიშნება სტუდენტს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ღონისძიება, გარდა გაფრთხილებისა, ან რომელსაც ერთი სემესტრის განმავლობაში არასაპატიოდ გაცდენილი აქვს სალექციო საათების საერთო რაოდენობის 5%.
6. ამ წესით გათვალისწინებული სტიპენდიები არ ენიშნება იმ სტუდენტს, რომელიც ერთ-ერთ დასკვნით გამოცდაზე მიიღებს „F“ შეფასებას.

7. სტიპენდიის დანიშვნის შესახებ სტიპენდიანტობის კანდიდატი სტუდენტი ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 5 სამუშაო დღეში წერს განცხადებას კომისიის თავმჯდომარის სახელზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ინფორმაცია აკადემიური მოსწრებისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ, დედის შემთხვევაში, აგრეთვე შვილის დაბადების მოწმების ასლი.
8. კომისია სტიპენდიის დანიშვნის შესახებ საკუთარ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით და უგზავნის რექტორს.

მუხლი 3. სტიპენდიის დანიშვნა/გაცემა

1. სტიპენდია ინიშნება რექტორის ბრძანებით, კომისიის საოქმო გადაწვეტილების საფუძველზე.
2. სტუდენტისთვის სტიპენდიის გაცემას უზრუნველყოფს უნივერისტეტის ფინანსური უზრუნველყოფის სამსახური უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 4. სტიპენდიის ვადაზე ადრე შეწყვეტა

1. სტიპენდიანტს სტიპენდია ვადაზე ადრე შეუწყდება:
   ა) თუ სტიპენდიის დანიშვნის შემდეგ მიმდინარე სემესტრში მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ღონისძიება, გაფრთხილების გარდა;
   ბ) მიმდინარე სემესტრის განმავლობაში არასაპატიოდ გაცდენილი სალექციო საათების საერთო რაოდენობა მიაღწევს 5%-ს;
   გ) სტუდენტს შეუჩერდება, ან შეუწყდება აქტიური სტატუსი.
2. სტიპენდიის გაცემა სტუდენტს შეუწყდება რეტორის აქტით:
   ა) ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევვაში ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;
   ბ) ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 5. წესის ძალაში შესვლა

1. წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი აქტით.
2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია რექტორის აქტით.